

შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/46

თბილისი

“ 12 “ ივლისი 2017 წ.

შემოდგომის სემესტრში გარე მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილების და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთსუ-ის წესდების მე-5 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/5 ბრძანების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების მე-5 და მე-9 მუხლების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 14.06. №374 ბრძანების, გთსუ-ის მობილობის დებულების 1 მუხლის, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის, სამართლის ფაკულტეტის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანების წარდგინებების და ფაკულტეტების საბჭოს სხდომის ოქმების ამონაწერების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

დამტკიცდეს 2017-2018 სასწ/წ შემოდგომის სემესტრის მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადები და ადგილები:

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) - 20 ადგილი;
- ტურიზმი - 20 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - 10 ადგილი;
- საბანკო საქმე - 10 ადგილი;

სამართლის ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სამართალი - 20 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სისხლის სამართალი - 10 ადგილი;
- კერძო სამართალი - 10 ადგილი;

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ჟურნალისტიკა - 15 ადგილი;
- ფსიქოლოგია - 15 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- მასობრივი კომუნიკაცია - 5 ადგილი.

1. 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა უნივერსიტეტში რეგისტრაციის ვადები:

- ✓ დოკუმენტების მიღება ფაკულტეტებზე - 25 აგვისტო - 8 სექტემბერი;
- ✓ ჩასარიცხ პირთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა - 11 სექტემბერი.

2. კონსულტაციები (შესაბამის ფაკულტეტებზე) 2017 წლის 17 ივლისიდან 28 ივლისის ჩათვლით და 25 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

3. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- ✓ განცხადება (რექტორის სახელზე);
- ✓ სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი;
- ✓ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატის ასლი;
- ✓ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;
- ✓ სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით).

4. მობილობით განპირობებული განსხვავებული კრედიტების ათვისება მოხდეს უფასოდ.

5. დოკუმენტების მიღება დაევალოს შესაბამის ფაკულტეტებს.

6. უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტს სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით.

7. ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.

8. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.